

ნაცვალსახელის მოდელირებისთვის ძველ ქართულ ენაში

თამარ გეთიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების შესაბამისად*

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამარ გეთიაშვილი

27.06.2016

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიზანაც იყო კომპიუტერული ენათმეცნიერების ფარგლებში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული რეალიზაციის საფუძველზე კომპიუტერულად ენის/ტექსტის დამუშავებისთვის საჭირო წესების შემუშავება.

განხორციელებული კვლევის შედეგად შეიქმნა ერთ-ერთი მეტყველების ნაწილის, კერძოდ, ნაცვალსახელის (ჩვენებითი და კითხვითი) მორფოლოგიური ანალიზისთვის საჭირო წესები და მათ საფუძველზე - სასრული პოზიციის გარდამქმნელი.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ბუნებრივი ენის პრაქტიკული დამუშავების თვალსაზრისით. შემუშავებული წესები და მიღებული შედეგები გამოსადეგი იქნება მორფოლოგიური ანალიზატორის შექმნის პროცესში.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სასრული მდგომარეობის ავტომატი (სმა), სასრული პოზიციის გარდამქმნელი, რეგულარული გამოსახულებები, ტოკენიზატორი, xfst, lexc, twolc, lookup.